

„COVID-19 პანდემიის პირობებში
თანამშრომელთა მზადყოფნისა
და რეაგირების გეგმის“
ინსტრუქტაჟი




რა არის კორონავირუსი ?

კორონავირუსების ჯგუფი დაავადების გამომწვევი ვირუსების დიდი ოჯახია, რომელთაც სხვადასხვა დაავადების, მათ შორის სასუნთქი გზების ინფექციების გამოწვევა შეუძლიათ ადამიანებსა და ცხოველებში.

„ახალი“ კორონავირუსი (CoV) არის კორონავირუსის ახალი შტამი. კორონავირუსით გამოწვეული ავადობა პირველად გამოვლინდა ჩინეთის ქალაქში უხანი და მას ოფიციალურად ეწოდა „კორონავირუსით დაავადება-2019“ (CO - შემოკლებული „კორონა“, VI - შემოკლებული „ვირუსი“ და D - შემოკლებული „დაავადება“). ოფიციალურ სახელდებად ამ დაავადებას ეწოდებოდა „2019 წლის ახალი კორონავირუსი“ ან „2019-nCoV“).

ვირუსი COVID-19 ახალი ვირუსია და ის უკავშირდება ვირუსების იმავე ჯგუფს, რომელსაც განეკუთვნება „მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომი“ (SARS) და გაციების ზოგიერთი ფორმა.



სიმპტომები

ზოგად სიმპტომებს შორის არის :

1. ტემპერატურის მომატება,
2. ხველება და სუნთქვის უკმარისობა.
3. შედარებით ნაკლებად წარმოჩენილი სიმპტომებია კუნთების ტკივილი.
4. ნახველი და ყელის ტკივილი.
5. შემთხვევათა უმეტესობა მსუბუქი სიმპტომებით მიმდინარეობს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ვითარდება ჰნევმონია.
6. სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1-დან 5 პროცენტამდეა, მაგრამ მერყეობს ასაკისა და სხვა თანმხლები დაავადებების გათვალისწინებით.

Symptoms of CORONAVIRUS (COVID-19)



Fever



Shortness of breath




Cough

როგორ ვრცელდება ახალი კორონავირუსი?

- წვეთოვანი გზით: ხველით, ცემინებით.
- თვალზე, პირზე და ცხვირზე დაუბანელი ხელის შეხებით.
- დაავადებულებთან მჭიდრო კონტაქტით შეხება, ხელის ჩამორთმევა ახალი კორონავირუსი (COVID-19) ადამიანიდან ადამიანზე ახლო მანძილზე ვრცელდება, როგორც სხვა რესპირაციული დაავადებები, მაგალითად გრიპი. დაავადების გადაცემა შესაძლოა მოხდეს დაცემინების ან დახველების დროს გამოყოფილი წვეთის სხვა ადამიანის ლორწოვანზე მოხვედრით. მეცნიერთა მოსაზრებით ხველის ან ცემინების დროს გამოყოფილ წვეთს რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე გავრცელება შეუძლია. შესაძლებელია, ეს წვეთები სხვა ადამიანს ან პირდაპირი კონტაქტის გზით შეხვდეს და დაინფიციროს სუბიექტი, თუ იგი ხელით შეეხება დაბინძურებულ ზედაპირს
- ერთი ადამიანიდან მეორეზე ინფექცია გადადის რესპირატორული წვეთებით, რომლებიც ძირითადად ხველებისა და დაცემინების დროს წარმოიქმნება. სიმპტომები ინფიცირებიდან 2-14 დღეში ვლინდება, საშუალოდ კი 5 დღეში.

როგორ უნდა დავიცვათ თავი?



- ხშირად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით არანაკლებ 20 წამის განმავლობაში ან გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხსნარი
 - ნუ შეეხებით თვალებს, ცხვირსა და პირს დაუბანელი ხელით
 - მოერიდეთ მჭიდრო კონტაქტს დაავადებულ ადამიანთან/არ გამოიყენოთ დაავადებული ადამიანის პირადი ნივთები
 - ხველისა და ცემინებისას აიფარეთ პირსა და ცხვირზე ერთჯერადი ცხვირსახოცი ან მოხრილი იდაყვი
 - მიიღეთ თერმულად კარგად დამუშავებული ხორცის პროდუქტები და კვერცხი
 - მოერიდეთ დაუცველ და მჭიდრო კონტაქტს გარეულ ან/და ფერმის ცხოველებთან როგორც უნდა დავიცვათ გარშემომყოფები დაინფიცირებისგან?
 - თუ გაქვთ მაღალი ტემპერატურა ან ხველა, მოერიდეთ გარშემომყოფებთან მჭიდრო კონტაქტს
 - მაღალი ტემპერატურის, ხველის და სუნთქვის გამწელების შემთხვევაში მიმართეთ სამედიცინო დაწესებულებას
 - აცნობეთ ექიმს თქვენი მოგზაურობის ისტორია და სიმპტომები
 - ცხვირსახოცი გამოყენებისთანავე დახურულ ურნაში გადააგდეთ
- უმჯობესია პირბადის გამოყენება მოხდეს, მხოლოდ ვირუსის სიმპტომების არსებობის შემთხვევაში, რათა შევამციროთ ინფექციის გავრცელება.

როგორ უნდა დავიცვათ თავი?

- საქმიანობის სპეციფიკის და მომხმარებლების დიდი ნაკადის გათვალისწინებით უნდა მოხდეს სივრცის ხშირი განიავება, ასევე, არ არის რეკომენდირებული კონდიციონერების გამოყენება, ამასთან, საგულისხმოა ჰიგიენის ნორმების გამკაცრება დასუფთავება/დეზინფექციის მიმართულებით:
- დასუფთავების პერსონალმა სამუშაოს შესრულების დროს უნდა გამოიყენონ ხელთათმანები და სპირტის შემცველი ხსნარი, დამატებით ატარონ ნიღბები. პერსონალმა უნდა მოახდინოს შემდეგი ინვენტარის და სივრცეების სისტემატური დასუფთავება.



დასუფთავების პერსონალმა სამუშაოს შესრულების დროს უნდა გამოიყენონ ხელთათმანები და სპირტის შემცველი ხსნარი, დამატებით ატარონ ნიღბები. პერსონალმა უნდა მოახდინოს შემდეგი ინვენტარის და სივრცეების სისტემატური დასუფთავება.

<ul style="list-style-type: none"> • სამუშაო მაგიდა • კომპიუტერის მონიტორი • კლავიატურა • კომპიუტერის მაუსი • დაწესებულებაში • არსებული ტელეფონები • მობილური ტელეფონები/რაციები • კარის/ფანჯრის • სახელურები • მოაჯირები • შიდა და გარე ნარჩენების ურნები • დაწესებულების იატაკი • ლიფტის ლილაკები და ლილაკების დაფა 	<ul style="list-style-type: none"> • საპირფარეშოები • ჭურჭელი/კონტეინერები • მაგიდები და სკამები • ყავის/წყლის აპარატები • ვიტრინებისა და სადემონსტრაციო სივრცეების დასუფთავება/დეზინფექცია • საკონფერენციო ოთახების აღჭურვილობა და ინვენტარი • TV დისტანციური მართვის საშუალებები • ელექტრო ჩამრთველები • ავეჯი 	<ul style="list-style-type: none"> • ელექტრონული გასაღებები/ბარათები – ელექტრო-ტექნიკა – საჭე – სატრანსპორტო საშუალების შიდა სივრცის დასუფთავება/დეზინფექცია – სატრანსპორტო საშუალების კარების შიდა/გარე სახელურების დასუფთავება/დეზინფექცია
--	---	---

როგორ უნდა გაიკეთოთ, მოიხმაროთ, მოიხსნათ და გადააგდოთ ნილაბი



- ნილბის გაკეთებამდე დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით ან დაიმუშავეთ სპირტისშემცველი ხსნარით
- ნილაბი უნდა ფარავდეს პირისა და ცხვირის მიდამოს.
- დარწმუნდით, რომ ნილაბი მჭიდროდაა მორგებული სახეზე.
- მოხმარებისას არ შეეხოთ ნილაბს; შეხების შემთხვევაში დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით ან დაიმუშავეთ სპირტისშემცველი ხსნარით.
- დაბინძურებისთანავე შეცვალეთ ნილაბი ახლით;
- არ გამოიყენოთ ერთჯერადი ნილაბი განმეორებით.

ნიღბის მოხსნის წესი

1. დაიბანეთ ხელი;
2. მოიხსენით ნიღაბი უკანა თასმის მეშვეობით. (არ შეუხოთ ნიღბის წინა ნაწილს)
3. მოხსნისთანავე გადაადგეთ დახურულ ნაგვის ურნაში
4. დაიბანეთ ხელი წყლითა და საპნით ან დაიმუშავეთ სპირტისშემცველი ხსნარით.




კონტროლის მექანიზმები

- ობიექტზე შესვლა ხდება მხოლოდ ერთი შესასვლელის გამოყენებით, რომელიც მკაცრად კონტროლდება დაცვის სამსახურის და შრომის უსაფრთხოების ოფიცრის მიერ.
- სამუშაო ადგილზე დაშვებამდე ხდება ტემპერატურის შემოწმება.
- ტემპერატურის დადგენის შემთხვევაში ხდება დასაქმებულის იზოლირება და აღნიშნული ინფორმაცია გადაცემა ჯანდაცვის სამინისტროს 1505 ; 116 001, რის შემდგომას ველოდებით ზედამხედველი ორგანოიდან მითითებებს შემდგომი ქმედებების განსახორციელებლად.
- უნდა დავიცვათ ორ მეტრიანი დისტანცია თანამშრომლებს შორის მთლიანი სამუშაო ცვლის განმავლობაში.
- მაქსიმალურად უნდა მოვერიდოთ ფიზიკურ კონტაქტს თანამშრომლებთან.



- დასაქმებული იმუშავენს ხელებს, იყენებს დეზობარიერს, იცვამს იდს-ებს.
- დაწესებულია ზედამხედველობა დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რომლის შესრულებას უზრუნველყოფს ადმინისტრაცია და ობიექტზე გამოყოფილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
- ჯანმრთელობაზე ზედამხედველობა ხორციელდება ობიექტზე მათ დაშვებამდე ყოველდღიური გასაუბრებისა და დღის განმავლობაში დაკვირვებით. იმ შემთხვევაში თუ დასაქმებულს გამოუვლინდება საექვო სიმპტომები (მაგ., ხველა, ცემინება, ყელის ტკივილი, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე ან სხვა) დასაქმებული დატოვებს სამუშაო ადგილს მინიმუმ 14 დღის ვადით. ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში კომპანია თავად უზრუნველყოფს დასაქმებულის ტრანსპორტირებას საცოვრებელ მისამართზე, განახორციელებს იმ სატრანსპორტო საშუალების დეზინფექციას, რომლითაც მოხდა დასაქმებულის გადაყვანა და მისცემს მას მითითებას მიმართოს ექიმს;



- დასაქმებულებს შორის დაცულია 2 მეტრიანი სოციალური დისტანცია;
- სანიტარული და სადეზინფექციო საშუალებებისა და მოხმარების წესების შესახებ ინფორმაცია თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული, ასევე ობიექტებზე ხელმისაწვდომია ხელების დაბანისთვის საპნები, სადეზინფექციო საშუალებები (70%-ანი ან მეტი სპირტის შემცველობით);
- კომპანიის მიერ ხორციელდება ნარჩენების გატანა და სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე სისუფთავის მაქსიმალურად შენარჩუნება;
- დასაქმებულებს მიეწოდებათ ინფორმაცია უსაფრთხო მუშაობის პროცედურებისა და ვირუსის პრევენციის შესახებ. ამ საკითხთან, ასევე ხელების სწორად დამუშავების შესახებ საინფორმაციო მასალები ასევე განთავსებულია თვალსაჩინო ადგილებში;
- დასაქმებულები ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოახდინონ ინდივიდუალურად დაცვისა და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენება, რაზეც ხორციელდება კონტროლი;
- სამშენებლო ობიექტის პერიმეტრზე განთავსებულია დახურული ურნები, რომელშიც ერთჯერადი გამოყენების ნივთების გადაყრა ხდება.
- კვების მიღების დაწყებამდე ხდება დასაქმებულთა მიერ ხელების დამუშავება და ერთმანეთს შორის 2 მეტრიანი მანძილის დაცვა.

